

სიხალა
შეიქმენა შავი ზღვის სპორტული ოჯახი!



ის, რასაც ბოლო ხანებში საგანგებო შეხვედრები, თათბირები, კონგრესები და სხვა სახის ღონისძიებები ეძღვნებოდა, დღეს უკვე რეალობაა - 1999 წლის სექტემბერში ჩატარდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველი სპორტული თამაშები. ეს გადამწყვეტილება მიიღეს ამას წინათ გამართულ აღმშენებელ სპორტული ღონისძიების განერგულური ასამბლეის სხდომაზე, რომლის შედეგადაც საერთაშორისო სპორტული დელეგაციის მონაწილეობით სპორტის საერთაშორისო დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბი ასათიანის ხელმძღვანელობით დელეგაციის შედგენა დაიწყო. პრეზიდენტის ბრძანებით ქანო ბაგრატიონი, საერთაშორისო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი და აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე, გათავაზებით ინტერესის ტანს ასათიანთან.

● ბატონო კაბი, თავის დროზე, შავი ზღვის ქვეყნების სპორტული თამაშების ჩატარების თაობაზე თქვენ წერილობით აცნობეთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს. მიიღეთ მხარდაჭერა?
- დიახ, მხარდაჭერა მივიღეთ და იმედი გვაქვს ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოინდობა ამ სპორტულ ფორუმზე.
● თამაშების ინიციატორი თურქეთი იყო?
- დიახ, პირველი თამაშების მასპინძლობაც მას ხვდათ. შეჯიბრებები გაისადა, 3-12 სექტემბერს ჩატარდება ძირითადი ტრანზონში და კიდევ ექვს ქალაქში: სინოპში, სამსუნში, ურდუში, გირესუნში, რიზეში და ართვინში. პროგრამაში სპორტული ღონისძიებები.

საპარტოვალს X პროფესიული ჩემპიონატი ფახგურთში

საპარტოვალს X პროფესიული ჩემპიონატი ფახგურთში

დინამო (თბილისი)	თ. მ. ფ. წ. ბ.	ქ. (-)
დინამო (თბ.)	11 8 3 0	36-7 27 (-6)
ტორპედო (ქუთ.)	12 8 2 2	29-13 26 (-10)
კოლხეთი-1913 (ფთ.)	11 7 2 2	28-14 23 (-10)
ლოკომოტივი (თბ.)	12 5 7 0	15-5 22 (-14)
დილა (გორი)	11 6 2 3	16-11 20 (-13)
დინამო (ბთ.)	12 5 5 2	19-10 20 (-16)
იბერია (სამტრ.)	12 5 1 6	22-26 16 (-20)
ოდიში (ზუგდ.)	12 4 1 7	9-21 13 (-23)
მერანო-91 (თბ.)	12 2 7 3	7-11 13 (-23)
არსენალი (თბ.)	11 3 3 5	13-20 12 (-21)
გორდა (რუსთავი)	12 2 6 4	7-8 12 (-24)
ვიტ-გორკი (თბ.)	12 4 2 6	13-14 11 (-25)
სიონი (ბოლნისი)	12 3 2 7	13-27 11 (-25)
სამგურალი (წყალტ.)	12 3 1 8	11-27 10 (-26)
გურია (ლანჩხუთი)	12 3 1 8	14-31 10 (-26)
თსუ	12 2 3 7	11-18 9 (-27)

შენიშვნა: ვიტ-გორკის დაკლებული აქვს 3 ქულა

ათვლას იწყებს ქართული ფახგურთის უახლესი ისტორია
დასახეიდან - აღმავლობისკენ!

დასახეიდან და დასახეისი
1998 წლის 23 ოქტომბერს, თბილისში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრში, 14 საათიდან დაიწყო 23 საათამდე, აგონიაში მყოფი ქართული ფეხბურთის გადარჩენისთვის იბრძოდა. ფაქტობრივად, აქ, ამ კედლებში უნდა დასრულიყო ავადმყოფობის უკანასკნელი დიაგნოზი, აქვე უნდა შერჩეულიყო მკურნალობის გზები, რომელიც სასთუმალთან დაუდგებოდა ჩვენს ეროვნულ ფეხბურთს და ბოლომდე მიიყვანდა მის გამოკანსახლებას. დიდი ცილობაც სწორედ მთავარი „მკურნალის“ უფლებების მოსაპოვებლად წარმართა და საქმეს ისეთი ძირითადი უჩანდა, ყველა კანდიდატი ისე იყო ან თებულ, თავს ნამდვილად არ შეიძინებდა, ვისაც უნდა მოეპოვებინა ეს უფლება.

ყველაფერი დემოკრატიულად, საქაროდ გადაწყდა - ქართული ფეხბურთის სათავეში მოვიდოდა ანალი მესაჭე, ანუ მას შემდეგ, რაც მეორე ტურის წინ, მერაბ ყორღანიას სახარ-



გებლოდ, ალექსანდრე ჩივაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა, ქართული ფეხბურთის თანამედროვე ისტორიის ახალი ხანა, ახალი ფაშთად იცნა და იწყო.

რამდენიმე დღე, კერძოდ, 30 ოქტომბრის, ნაშუადღევამდე ქართულ ფეხბურთს სიმბოლურად მართავდა ახალი პრეზიდენტი და დეპუტატებით ადგილდაკავებული აღმასკომის რამდენიმე წევრი. 30 ოქტომბრის იმავე საღამოს უკვე ერთმანეთს ულოცავდნენ ქართული ფეხბურთის ახალ ერაში ფეხმძვინვარე აღმასკომის თითქმის სრული შემადგენლობა და ხელმძღვანელთა ბირთვი, ანუ უკვე უორდანიას გუნდად წოდებული თანამოაზრეთა საკრებულო.

ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა ამ გუნდში, ცნადა, დღეს უკვე ოფიციალურად, არის ფედერაციის გენერალური მდივანი პალმარი ჩოლაყი. ამ კაცზე, ჯერ კიდევ წინა დღეებში, როცა შეთავაზებაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, იხსენებოდა.

ქიუდო თბილისის საერთაშორისო ტურნირი

ქიუდო თბილისის საერთაშორისო ტურნირი

უწინ, ძიუდოსტა თბილისის საერთაშორისო ტურნირის მცირე მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებდნენ. აქ გამარჯვება ყველა სახელოვანი ძიუდოსტისთვის საამაჟო და საპატიო იყო. თბილისური ტურნირის ძველი დიდების გასახსენებლად სპორტის სასახლეში აღრე მოასპარეზე ფაღვანთა გახსენებაც კია.

რა - ია - ბონელები ია - სუპარა ია - მასიტა, საიტო ენდო, ფრანგები - ფილიპ რუფე და ანჯლო პარინი, ბელგიელი რაბინ ვან დერ ვალე, რუსები - ნოვიკოვი და ოსტროვა. ამ დიდებულ ოსტატებს გვრდს უმწვერვლეს ქართველი ძიუდოსტები შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, თეორ ნუგულაძე, დავით ბოდიშელი, რამზ ხარშილაძე, კობა კურტიანიძე, ამირან ტოტყეაშვილი. მართლაც, ვინ მოსთვლის იმ დიდებულ ძიუდოსტებს, თბილისური ტატამი რომ დაუმწვერვლად თავიანთ უხადლო ოსტატობით.

როგორც ყველამ და ყველაფერმა საქართველოში, თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც დაკარგა ფასი. კი, არეულობის წლებში ტარდებოდა ტურნირი, საერთაშორისოც ერქვა, მაგრამ მასში ძირითადად ქართველი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, შიგა და შიგთუ გამოერეოდნენ ახლო მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები. უცხოელებმა მიგვივიწყეს და, ამ და სხვა მიზეზთა გამო, ტურნირს „კატეგორიის სტატუსი ჩამოერთვა, მეორეხარისხოვან, „კატეგორიისადა იქცა.

შარშან, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თავკაცობამ ახლებურად, უწინდელი მონდობით ჩაატარა ტურნირი. მართალია იგი „კატეგორიისა იყო, მაგრამ უცხოელები უხვად იწვიეს და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან დამკვირვებლებიც ჩამოვიდნენ. შეჯიბრება უხარვეზოდ, რიგანად დასრულდა. ეტყობა, უცხოელმა მსტორებმაც კარგი ამბავი წაუღეს საერთაშორისო ფედერაციის ბოსებს და ძიუდოს ჩვენებურ მესვეურთა ძალისხმევამ შედეგიც გამოიღო: 1998 წლის „კატეგორიის ტურნირთა კალენდარში, ძიუდოს ევროპულმა ფედერაციამ, თბილისის საერთაშორისო ტურნირიც შეიტანა და ჩატარების ვადად 31 ოქტომბერი - 1 ნოემბერი დაუთქვა ტურნირის ორგანიზატორებს.

სწორედ ამ დღეებში, 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს დაიწყო ათვლა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ძველი დიდების აღდგენისა. სპორტის სასახლეში, ჩვენებურთა გარდა, კვლავ მოიყვარეს თავი უცხოელთა კიშონიანმა დიდოსტატებმა.

ორდღიანმა ტურნირმა მეტად მაღალ დონეზე ჩაიარა. მიუხედავად იმიისა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ უძლიერესი ძიუდოსტების გარეშე იასპარეზა, ორთაბრძოლები მეტად დამაბუღად მიმდინარეობდა და ქომაგებმაც არაერთი ლამაზი და უშედავითო შეხვედრა იხილეს.

ქართველ ფაღვანთაგან მრავალს ჰქონდა წარმატების მოპოვების შანსი, როგორც ცენტრალური ფიგურა ამ გუნდში, ცნადა, დღეს უკვე ოფიციალურად, არის ფედერაციის გენერალური მდივანი პალმარი ჩოლაყი. ამ კაცზე, ჯერ კიდევ წინა დღეებში, როცა შეთავაზებაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, იხსენებოდა.

იხ. მ-2 გვ.

SOS
გორჯოში, ცენტრალურ სტადიონზე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით, აშენდა რესტორანი (!) და საბანკო დარბაზი (!), ამჟამად გააღებული ტიპით შენდება... სახაშე (!!!).
დაწვრილებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში!

დავით ყიფიანი
7 ნოემბერს გირჩეულს გაუპირდება **იხ. მ-5 გვ.**

გამგასიის პარატის ასოციაცია, საქართველოს კიოკუშინკაი - პარატის ფეხბურთის

7 ნოემბერს
თბილისის განათლების სამმართველოს საჭიდაო კომპლექსში (დიდის მასივი, ბელიაშვილის 6)

ატარებს
საერთაშორისო ტურნირს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრიზზე.

მონაწილეობან:
აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის რეგიონების ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 11 საათზე.

(პირველი გვერდიდან)

რტის 14 სახეობაა, ესენია: მძღვრისობა, კალათხორთი, ფეხხორთი, ფრენხორთი, ხეღვრთი, კრივი, ძაღლისობა, ძიუდო, ჭიდაობა, ცურვა, ტყვიის სროლა, მშვიდდონობა, ტაიკვანდო და რიტმული ტანვარჯიში. აფროსონობა კი წარმოადგენდა იქნება, როგორც საჩვენებელი სახეობა. თამაშების მთავარი ოფისი ტრანზიტშია.

● **საინტერესოა რა წესებით ჩატარდება თამაშები?**
— საერთოდა, ეს სპორტული ასპარეზობა ნაგარაუდებია ჩატარდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით და, მისი წესდება სოკ-ის საშეჯიბრო წესებს დაემატებოდეს.

● **თამაშების წესებით, რომელ ქვეყნებს აქვთ უფლება მიიღონ შეჯიბრებებში მონაწილეობა?**

— ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, საქართველო, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა და თურქეთი. განაცხადებს მონაწილეობაზე წარადგენენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები.

● **სპორტსმენთა შერჩევა სოკ-ის წესებით მოხდება?**

— დიახ, შერჩევის სოკ-ის წესები, პლუს საერთაშორისო ფედერაციები. სხვათა შორის, სპორტსმენი უნდა იყოს მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელ ქვეყანასაც ის წარმოადგენს.

● **გთქვამთ, ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ზოგიერთმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე...**

— თამაშები ჩატარდება შეიდიდან თუნდაც მინიმუმ ოთხი ქვეყნის თანხმობა თუ იქნება. განაცხადი მონაწილეობაზე წარედგინება თამაშებამდე 8 კვირით ადრე. აუცილებელია ცალ-ცალკე 4-4 ვაშთა და ქალთა გუნდების მონაწილეობა, საინტერესოა ისიც, რომ თითოეულ პროგრამაში ქვეყანა წარადგენს არა უმეტეს 2 სპორტსმენსა და შეჯიბრება ჩატარდება თუ მონაწილეთა რაოდენობა მინიმუმ — 8-ს მიაღწევს ცალკეულ კატეგორიაში. თუ ქვეყანა წარადგენს თითოეულ სახეობაში ერთ სპორტსმენს, მაშინ აუცილებელია შეჯიბრებაში ჩაება მინიმუმ 4 ათლეტი.

● **ყველა სახეობაში მონაწილეობა აუცილებელი ხომ არის?**

— ცხადია, არა. თამაშებამდე ორი თვით ადრე, მონაწილე ქვეყანამ, თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტს ოფიციალურად უნდა აცნობოს თუ სპორტის რამდენ სახეობაში გამოვა. თამაშებამდე ერთი თვით ადრე იგზავნება მონაწილეთა რაოდენობრივი განაცხადი, ორი კვირით ადრე კი უკვე სპორტსმენთა სახელობითი განაცხადის წარდგენა სავალდებულო.

● **როგორია დაფინანსების წესი?**

— მონაწილე ქვეყნებს თითოეულ სპორტსმენზე შეაქვს თანხა დღეში 30 აშშ დოლარის ოდენობით. შეჯიბრებების დღეებში ყველა ხარჯებს მასპინძლები გაიდგენ. თანხის ნაწილი დეპოზიტზე უნდა გადაირიცხოს 9 თვით ადრე, საერთო თანხის ნახევარი კი 6 თვით ადრე, სრული თანხა — ჩასვლისას. თუ რომელიმე ქვეყანა უარს განაცხადებს მონაწილეობაზე, დეპოზიტის თანხა ეკარგება. მაგრამ თანხები საჭიროა თამაშებისთვის ჩვენი სპორტსმენების და გუნდების მოსამზადებლად. მთავრობა მხარს უჭერს ჩვენს პროექტს და მისი მხრიდან დაფინანსების დიდი იმედია გვაქვს.

● **შეჯიბრებების ჩატარების ტექნიკური მხარეც ალბათ საერთაშორისო ფედერაციების მოთხოვნებით განისაზღვრება.**

— დიახ, ამასეც მიღწეულია შეთანხმება, მაგრამ განსაზღვრულია ისიც, რომ საერთაშორისო ფედერაციებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი უფლებების დედეგირება თურქეთის ფედერაციებზე, საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით.

● **ჩვენ გავცანით თამაშების წესდებას, ხადაც მითითებულია, რომ შპატო ზომებს გაატარებენ დოინგის წინააღმდეგ და, რამაც ყველაზე ძალიან გაგვაოცა, პირველად სწორედ ამ თამაშებზე იმპუშაგებს საგანგებო კომისია, რომელიც დაადგენს მონაწილის... სქესს. წერტილებზე აღარ გვეითებით. საინტერესოა, როგორია თამაშების სიმბოლე?**

— დამტკიცებულია ემბლემა და სიმბოლო. სიმბოლოა თევზი ქაფში, მონაწილე ქვეყნების ეროვნულ დროშებზე ერთმანეთთან შეერთებული ორი ოლიმპიური რგოლი, რაც შავი ზღვის აუზში ევროპისა და აზიის ერთიანობას ნიშნავს.

● **როგორი იქნება თამაშების მასპინძლობის რიგითობა?**

— შავი ზღვის აუზის ქვეყნები მორიგეობით მიიღებენ თამაშებს, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს ეს არ სურს, ისეც სხვა გაუწევს მასპინძლობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მსურველი არ იქნება, თამაშების გადარჩენის ბედს თურქეთი იღებს თავის თავზე, როგორც ინიციატორი ქვეყანა.

● **უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაშებს ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, თბილისი ჩვენი სხვა ქალაქებიც უმასპინძლებს?**

— აუცილებლად ვუმასპინძლებთ და ეს იქნება უდიდესი სპორტული დღესასწაული, რაც კი მანამდე საქართველოში ჩატარებულა.

ესაუბრა თენგიზ ბაჩიჩილაძე

პატივცემულ ბატონებო!

ნება მომეცით მოგესალმეთ და დაგიდასტუროთ პატივისცემა, როგორც თქვენი გაზეთის სტაჟანმა მკითხველმა

ბატონებო! მოგმართავთ საქმიანი წინადადებით. სამოქალაქო წლებში თბილისის „დინამოს“ ევროპის სარბიულზე გასვლამ დაგვანახა, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს ევროპაში და მთელ მსოფლიოში ე.წ. „ნოთხა ტურნირები“ (გავისწავლოთ თუნდაც „ეპარაელის“ ჩამოტანა თბილისში).

ნათარბიერება, აბრეშუმის გზის აღდგენა და ზემოქმედება „ნოთხა ტურნირებში“ მომცა მათი სინთეზის იდეა ანუ ყოველწლიურად ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში (ნაერბების დონეზე), პრეზიდენტების ელურად შეგარდნისა და ჰეიდარ ალიევის პატრონაჟით. ტურნირის სახელწოდება იქნება „EURO-ASIA“. ჩემი აზრით, ეს ტურნირი უნდა ჩატარდეს ჩვენი სპორტული პრესის პატრიარქმა, გაზეთმა „ლელომ“. მე შემუშავებული მაქვს ასეთი ტურნირის კონცეფცია, რაც ევროპაში გარკვეულ არგუმენტებს და ფაქტებს.

მონაწილეები: საქართველო, აზერბაიჯანი — აუცილებლად. მოსაწყვე გუნდები: უკრაინა, მოლდოვა, თურქმენეთი, უზბეკეთი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, სომხეთი ან სხვა. შემდეგში ტურნირი შეიძლება გაიზარდოს მონაწილემდე, მაგრამ მისი აუცილებლად ჩატარებისთვის შესაძლებელია ოთხის მონაწილეობა. პირველ ეტაპზე შეიძლება მოვიწვიოთ ე.წ. „GYAM“-ის ქვეყნები.

ნათარბიერების ბათუმი, ქუთაისი (სავარაუდოდ).

ფინალი — თბილისი. მიუკმევ ჩემს თავს უფლებას და გამოვხატავ მზადყოფნას საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობისათვის. სავსებით დასაშვებია ამ საკითხზე.

თბილისში „ლელოს“ თანამშრომლობა აზერბაიჯანის სპორტულ გაზეთთან. ჩემი აზრით, გენერალური სპონსორი უნდა იყოს კომპანია „CHEVRON“. ლატარია „ტოტო-ლოტოს“ მესვეურებს შეიძლება გთხოვოთ ნახევარფინანსებისა და ფინანსის მატჩებზე ჩაატარონ ლატარია პრინციპით: 1. ტრინუნა, 2. იარუსი, 3. რიგი, 4. ადგილი.

დარწმუნებული ვარ ასეთ ტურნირში მონაწილეობა ძალზე სასიყვეთოდ წადგება საქართველოს ნაკრებს, რომელშიც ახლა მძიმდარეობს თაობათა ცვლა და მოსალოდნელია მძიმეული გადახდისგება.

ვიმედოვნებ, ფეხბურთის ფედერაცია მხარში ამოგვიდგება. თუ ჩემი წინადადება დაგვანტერესებთ, გთხოვთ დაუყვანებლივ შემატყობინოთ.

ღრმა პატივისცემით

თამაზ ვაშაძემი.

P.S. ასეთი ტურნირები შეიძლება ჩატარდეს სპორტის ნებისმიერ სახეობაში და ნებისმიერი ასაკის სპორტსმენთა შორის ნაერბების ან სავლუბო დონეზე.

თანამაზრებს გთხოვ დამეკავშირდნენ: 95-19-37.

მოკლე საანეტო ცნობები: დაგვიადე 1953 წელს. საბჭოთა კავშირის დროინდელი გამოგონებელი. საქართველოს კომპაგნიის პრემიის ლაურეატი. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ამჟამად ემუშავებ მკერე ბიზნესში. მფას მფუდლე და ორი შვილი.

კვარცხლბეკზე ქართულთა სიყრავლე იყო



გიორგი რევაზიშვილი




დავით ნალაძე



გელა გუვაზა



იგორ ჯიქურაული



ალექსანდრე დავითაშვილი

(პირველი გვერდიდან)

გუვაზა შენგდენ ერთმანეთს. ორივე ფალავანმა კარგად უწეის ერთმანეთის ავ-კარგი. ამიტომ ფრთხილად ჰიდაობდნენ და ზედმეტად არ რისკავდნენ. თავიდან წმინდაშვილი უფრო აქტიურობდა, ბოლოს გუვაზამაც გამოიღო ხელი და სწორედ გააქტიურების ხარჯზე იმარჯვა გელა გუვაზამ — მას მხოლოდ შიღო ჰქონდა საჭარიმოდ, წმინდაშვილს კი — ჩუი.

მომდევნო წონაშიც (100 კგ) ქართველმა ფალავანმა მოიგო ოქროს მედალი — **იგორი ჯიქურაული** იპონით დაამარცხა ებრაელი ზევეი და ისე განიმარჯვა. ჯიქურაული საუცხოო ფორმაშია და მეტოქეს წამებში სძლია, ფი-

ნალამდე თითქმის ყველა წინა შეხვედრაც ასეთივე დამაჯერებელი უპირატესობით მოიგო იგორი ჯიქურაულმა.

ალექსი დავითაშვილი კარგად იცნობენ ჰიდაობის ქომაგები. ამ ბოქსა ჰიდაობის ლამის ყველა სახეობაში მოსინჯა ძალა და მეტ-ნაკლებ წარმატებას ყველგან მიაღწია. ბოლო ხანს, ალექსი საქართველოში ახალშექმნილ სუმოისტთა ნაკრების წევრი გახდა და პირველსავე საერთაშორისო ტურნირზე (გერმანია) მედალიც მოიგო. მაგრამ სულთი ძიუდოსის გულმა ვერ გაუძლო და თბილისის ტურნირამდე 1 კვირით ადრე ძიუდოში შეწყვეტილი ვარჯიში განაახლა და სატურნიროდ მზადება დაიწყო. აკი დაუფასდა

კიდევ გამოცდილ ფალავანს გარჯა. მძიმეწონისან მეტოქეთაგან ყველა დაჯანა, ფინალში ირანელ მირანს სძლია და ჩემპიონობა ღირსეულად მოიბოვა.

გულდასაწყვეტი იყო, რომ **რამაზ ჩოჩიშვილი** ბრინჯაოს მედლის ამარა დარჩა. რამაზი, ამჟამად, საუცხოო ფორმაშია და ჩემპიონობაც ედო გულში. იქნებ წინ მართლაც არაფერი დადგომოდა თავისივე შეცდომა რომ არა: რუსეთის ნაკრების მძიმეწონისან, ევროპის ჩემპიონ ტამერლან ტმენოვთან საკუთარ ფანდზე წამოვიდა — ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლისას დამარცხდა და სანუგეშო ჯგუფში განაგრძო ჰიდაობა. საბოლოოდ რამაზ ჩო-

ჩიშვილმა თავისავე მძიმეველ ტმენოვთან ერთად III ადგილი დაიკავა.

საქართველოს ვაშა ძიუდოსიტება, საბოლოოდ, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 5 ოქტომბერს, 1 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც მართლაც დიდი წარმატებაა.

ვაშების გარდა, სპორტის სახალღეში ქალბებმაც მოსინჯეს ძალა, თუმცა, აღსანიშნავია, ტურნირში მონაწილე გოგონათა სიმცირე. მაგალითად, 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მხოლოდ 1 მონაწილე იყო — ინგლისელი პაუელი და ოქროს მედალი მას უბრძოლველად ჩამოჰკიდეს. სხვა სინჯის მედლებს კი, ორგანიზატორები, საბოლოოდ გამოიყენებენ, რაკი მათ პატრონი არ გამოუჩნდათ. 57 კგ-შიც 2 მონაწილე მეტი არ იყო, ამიტომ მათ პირდაპირ ფინალი იქიდავეს. ფინალში ორი ქართველი ეცილებოდა ეროვნულ ჩემპიონობას — **ია ზღულაძე** და **მანანა ბენაშვილი**. დაძაბულ ბრძოლაში ზღულაძემ იმარჯვა.

ქართველმა გოგონებმა სულ 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

კვარცხლბეკი:

ვაშები. 60 კგ: 1. ტატუაი გუზა (იპონია), 2. ნაზირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი), 3. ლაშა სარდანაშვილი (საქართველო) და ულდუზ, სულთანოვი (აზერბაიჯანი). **66 კგ:** 1. გიორგი რევაზიშვილი (საქ-

ართველო), 2. შაჰირ არზრუმანოვი (აზერბაიჯანი), 3. ფირაჟ ტყემელაშვილი (საქართველო) და ა. ცაგარაივი (რუსეთი).

75 კგ: 1. დათო ნალაძე (საქართველო), 2. პარტიზარი (ირანი), 3. გიორგი ნადირაშვილი და ჯონდო მუშაშვილი (ორივე — საქართველო).

81 კგ: 1. მეჰმან აზიზოვი (აზერბაიჯანი), 2. იური ზასევი (რუსეთი), 3. სოსო ლიპარტილიანი და სარიპანი (ირანი).

90 კგ: 1. გელა გუვაზა (საქართველო), 2. გიორგი წმინდაშვილი, 3. ჩამანა (ირანი) და ზურაბ ზვიდაური (საქართველო).

100 კგ: იგორი ჯიქურაული (საქართველო), 2. ზევეი (სრაელი), 3. ოკუბო (იპონია) და ელჩინ ფოლადოვი (აზერბაიჯანი).

მიმე: 1. ალექსი დავითაშვილი (საქართველო), 2. მირანი (ირანი), 3. რამაზ ჩოჩიშვილი (საქართველო) და ტამერლან ტმენოვი (რუსეთი).

ბრუნებ. 52 კგ: 1. მათანა სულეიმანოვი (აზერბაიჯანი), 2. რუსუდან კუპატაძე (საქართველო), 3. იამზე თურქიშვილი (საქართველო).

57 კგ: 1. ია ზღულაძე, 2. მანანა ბენაშვილი.

63 კგ: 1. პილი (ინგლისი), 2. იარილი (სრაელი), 3. ნინო მირუშვილი (საქართველო) და კოკოვერი (სრაელი).

70 კგ: 1. პაუელი (ინგლისი)...

„ლელო“ წინა ნომერი კუპირით SOS საზოგადოებრივად ვაუწყეთ, რომ თბილისის სპორტის სასახლე შეიქმნა გაიყიდა. ეს ღვაწლი განუწყვეტელი გვიჩვენებდა რეალურად და გვეჩვენებდა — ნათეს, გარდა?
ნათესა ხელახალდა გაიყიდა, როგორც ვითხარა, რომ შევაშა კავშირის ხალხთა კლუბის საპროექტო და პროექტორი, პირდაპირ გვეჩვენა: დანაშაუთ, რომ ვაშაშა, სწავს გაიყიდა იპორტის, ოპარს და სპორტის პრეზიდენტი სასახლეს, ალარ აქვს უფლება ილაპარაკოს კლუბის გადარჩენაზე.
ქიუდოში საერთაშორისო გარეგნულ „ლელო“ ჩაგვარა სპორტსმენთა, საპროექტორთა და გულშემატკივართა გაერთიანება. ჩვენ მათ პრეზიდენტი შეიქმნა დაუწყეთ.

უპირატესო თუ არა მხარის სპორტის სასახლის პრივატიზაცია?
გაეოქიპითა 125 კაპიტალდენი, როგორცაა 118-მა განაცხადა, რომ სპორტის სასახლის გაყიდვა გაეოქიპირებული უნდა იქნება. ორმა განაცხადა, რომ პრივატიზაცია გარდაუვალია, ნათესა თუ შეიქმნა, რადგან ვერ პრეზიდენტი აქვთ საპროექტო.

ყვარი ვიუგლათი საზოგადოებრივობის ხმას!

625

პეკერ ლეკო: კალიან დიდი ენერგია მაქვს

ამ ბოლო ხანს მეტად მომძლავრდა და, ეტყობა, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატში დიდი პრეტენზიები ექნება 19 წლის უნგრელ პეტერ ლეკოს. ამ რამდენიმე წაწყვეტი მისი საუბრობის გერმანულ ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტთან.

● **კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?**
- დიახ, ძალიან კმაყოფილი. ახლა ძალიან კარგად ვთამაშობ და ძალიან დიდი ენერგია მაქვს.

● **წინათ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გქონდა უნგრეთის მეორე წამყვან ახალგაზრდა დიდოსტატ ზოლტან ალმაშისთან. ახლა ვითარება შეიცვალა.**

- ეს ჩემი ბრალი არ არის. ადრე მას ძალიან ვესმარებოდი. ჩემს გამო იყო, რომ იგი დასავლეთის ბევრ პრესტიჟულ ტურნირში მიიწვიეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გარკვეულ წარმატებებს

მივაღწიე, ალმაშის აშკარად შეშურდა და ერთ-ერთ ტელეინტერვიუში „მოუვარული მოჭადრაკე“ კი მიწოდა. მაგრამ ასეთი „შეტევები“ ჩემს თამაშზე გავლენას არ ახდენს. მეტი კონცენტრაციითაც კი დავიწყე თამაში.

● **აქამდე ხელს რა გიშლიდა?**
- ადრე პირობები არა მქონდა. მთელი ჩვენი ოჯახი ორ პატარა, ერთიანად 15-კვადრატულმეტრიან ოთახში ცხოვრობდა. მაგიდაც კი არა მქონდა ჭადრაკში სავარჯიშოდ. 1997 წლიდან კი მდგომარეობა შეიცვალა და ახლა საკუთარი სახლიც კი მაქვს.

● **რომელი სპორტის სახეობები გიტაცებს, ჭადრაკის გარდა?**
- ვთამაშობ ფეხბურთის სტუდენტურ გუნდებში. მას შემდეგ, რაც დღის პირველ ნახევარს ჭადრაკში რ-საათიან ვარჯიშს ვანდობ, ეს მატჩები ჩემთვის ძალიან სასარგებლოა. ფეხბურთში ლიბეროს როლს ვასრუ-

ლებ. გარდა ამისა, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთსაც ვთამაშობ, ასეთი ფიზიკური მომზადება კი ჭადრაკში ძალიან მეხმარება.

● **პეტერ ლეკო ზოლტან ალმაშისა და იუდიტ პოლგართან ერთად უნგრელ მოჭადრაკეთა ახალი თაობის „პირველ სამეფლში“ შედის. აი ის კი ნამდვილად გასარკვევია, ვინ არის მათ შორის პირველი, ვინ მეორე და ვინ მესამე. სამივე, რასაკვირველია, თავს პირველად თვლის!**

„ჩეიტიზ-ლისტში“ კარკოზი მეთხუთმეტია?!

„მსოფლიო საჭადრაკო საბჭომ“ ფიდეს ალტერნატიულმა საჭადრაკო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების მორიგი „რეიტინგ-ლისტი“, რომელშიც კატასტროფულად უკან დაიხია მსოფლიო ჩემპიონმა (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვმა.


1. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი (რუსეთი) - 2808 პუნქტი. 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - 2752. 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) - 2738. 4. მაიკლ ადამსი (ინგლისი) - 2703. 5. გატა კამსკი (აშშ) - 2701. იგი მალე ექიმი უნდა გახდეს, კარგა ხანია საჭადრაკო შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს და მისი რეიტინგი უცვლელი რჩება. 6. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ალექსეი შიროვი (ესპანეთი) - 2698. 7. პეტერ სვიდლერი (რუსეთი) - 2696. 8. პირის გელფანდი (ისრაელი) - 2689. 9. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) - 2682. 10. ნაიჯელ შორტი (ინგლისი) - 2678. 11. ვესელინ ტრპალოვი (ბულგარეთი) - 2672. 12. პეტერ ლეკო (უნგრეთი) - 2672. 13. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) - 2666. 14. მეტიუ სადლერი (ინგლისი) - 2665. 15. მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რუსეთი) - 2664. ასეთი დაბალი მაჩვენებლები მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში“ კარპოვს არასოდეს ჰქონია. 16. ვალერი სალოვი (რუსეთი) - 2656. 17. ევგენი ბარევიჩი (რუსეთი) - 2656. 18. სერგეი რუბლევი (რუსეთი) - 2650. 19. მიხაილ კრასენკოვი (პოლონეთი) - 2647. 20. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) - 2645. საინტერესოა, რომ 67 წლის კორჩნოი ახლა დიდი აღმავლობით თამაშობს და წლეულს მკვეთრად გაიუმჯოვლა მდგომარეობა „რეიტინგ-ლისტში“.

ქალთა პერსონალიზირებული ფრანკა ფიკონი პოიკო

ნიუ-იორკის მარათონი, რომელშიც 30 000 ქალი მონაწილეობდა, იტალიელმა ფრანკა ფიკონიმ მოიგო. შეჯიბრება ყოველწლიურად ტარდება და სპორტსმენებს ნიუ-იორკის ხუთი რაიონის დაფარვა უწევთ. ფრანკა ფიკონი პირველი იტალიელაა, რომელმაც ნიუ-იორკის მარათონში გამარჯვებას მიაღწია, რასაც ის 2 საათსა და 17,41 წუთს მოუწია.



პრობლემატიკა



მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიშვილი

აგასი ოპიზიონალური განცხადება

ოსტრავას საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ ანდრე აგასიმ პრეს-კონფერენცია გამართა:

● **როგორ მოახერხეთ რეიტინგ-ლისტში მესუთე ადგილამდე ამაღლება მის შემდეგ, რაც შარშან ესოდენ დაბლა დაეშვით?**

- მივიღე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ბევრი შემუშავა, მონაწილეობა მიმეღო ისეთ „ჩელენჯერებშიც“ კი, რომელთა შესახებ ბევრს საერთოდ არ სმენია. მინდოდა ჩოგბურთში დარჩენა. ეს პრობლემის საკითხი იყო. ძალიან არ მომწონდა იმ დონეზე დაბლა თამაში, როგორსაც შეჩვეული ვარ. ვიცოდი, რომ ზედასვლას, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც მოუწევდა, არ ველოდი, რომ იგი ასე მალე მოხდებოდა.

● **მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის მოხვდით, რომელიც პანოვერში გაიმართება. რა მნიშვნელობა აქვს მას თქვენთვის?**

- პანოვერში ითამაშებს 8 საუკეთესო რეიტინგის მქონე მოთამაშე, ე.ი. მსოფლიოს 8 უძლიერესი ჩოგბურთელი. მომეცა საშუალება ასეთ კომპანიაში ვითამაშო და მივალნიო მიზანს - დაგვიბრუნო პირველი პოზიცია რეიტინგში.

● **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის დღესათვის იყო მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი?**

- წლის მინურულში იწყება ბრძოლა იმისათვის, ვინ ვის გადაასწრებს. ეს დიდი გამოცდაა. ჩემთვის ამგვარად უფრო მნიშვნელოვანია არა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი ვარაუდ, არამედ ის, რომ შემძლია ამისთვის ბრძოლა. დიდ ტურნირებში გამარჯვება მინდა. ეს არის ახლა მთავარი ჩემთვის.

„მოგო-ლოგო“ - მოთავეთა სისკული

1 ნოემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანხმობები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეხუთე გათამაშებით. „ლოტო 6-42“-ის მოგებახედრული რიცხვებია: 4. 5. 7. 8. 12. 32. 6 ციფრი - ჯეკ-პოტი 135 000 ლარი გათამაშდა. 5 ციფრი - 3210. 4 ციფრი - 1410 ლარი. 3 ციფრი - 160 ლარი. „სუპერ-7“-ის მოგებახანი ციფრებია: 9. 3. 7. 5. 4. 6. 9. ზამთარი ტირაჟი შედგება 8 ნოემბერს, საწყისი ჯეკ-პოტი 30 000 ლარი. ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საწყისი „ჯეკ-პოტი“ 30 000 ლარი.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

სპორტი	მისწრაფი	პარანა
ნი	(9.45; 21.25).	კავასია. „ვა-რსკელაგები“ (17.45). საქართველოს სპორტის მხმ. სპორტული პროგრამა (20.00). რუსეთის ტელევიზია. HTB. საფეხბურთო კლუბი (17.30). RENTV. „სპორტურიერი“ (20.45). ACT. „სპორტი ყოველდღე“ (14.05; 21.40). HTB nios cnonm. საქარაკო გაკეთილი (7.05; 15.10). ლათინამე-რიკული ქვეყნების ფეხბურთი (7.45). მოტო-სპორტი (8.10; 11.30). პოკი (9.10; 18.45; 0.45). ვეროპის საფეხბურთო კვირა (12.35). გერ-მანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.55). ESPN. ფეხბურთი (2.30; 3.15; 4.00; 5.30; 22.00). სპორტული ცენტრი (8.00; 14.00; 20.30; 1.30). სპორტული ცეკვა (0.00). EUROSPORT. ფე-ხბურთი (10.30; 15.00). ავტოსპორტი (12.30; 14.00). ჩოგბურთი (17.00). ევლოსპორტი (1.00). ექსტრემალური სპორტი (2.00; 3.00).

სპორტი	მისწრაფი	პარანა
ნი	(9.45; 21.25).	კავასია. „ვა-რსკელაგები“ (17.45). საქართველოს სპორტის მხმ. სპორტული პროგრამა (20.00). რუსეთის ტელევიზია. HTB. საფეხბურთო კლუბი (17.30). RENTV. „სპორტურიერი“ (20.45). ACT. „სპორტი ყოველდღე“ (14.05; 21.40). HTB nios cnonm. საქარაკო გაკეთილი (7.05; 15.10). ლათინამე-რიკული ქვეყნების ფეხბურთი (7.45). მოტო-სპორტი (8.10; 11.30). პოკი (9.10; 18.45; 0.45). ვეროპის საფეხბურთო კვირა (12.35). გერ-მანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.55). ESPN. ფეხბურთი (2.30; 3.15; 4.00; 5.30; 22.00). სპორტული ცენტრი (8.00; 14.00; 20.30; 1.30). სპორტული ცეკვა (0.00). EUROSPORT. ფე-ხბურთი (10.30; 15.00). ავტოსპორტი (12.30; 14.00). ჩოგბურთი (17.00). ევლოსპორტი (1.00). ექსტრემალური სპორტი (2.00; 3.00).

სპორტი	მისწრაფი	პარანა
ნი	(9.45; 21.25).	კავასია. „ვა-რსკელაგები“ (17.45). საქართველოს სპორტის მხმ. სპორტული პროგრამა (20.00). რუსეთის ტელევიზია. HTB. საფეხბურთო კლუბი (17.30). RENTV. „სპორტურიერი“ (20.45). ACT. „სპორტი ყოველდღე“ (14.05; 21.40). HTB nios cnonm. საქარაკო გაკეთილი (7.05; 15.10). ლათინამე-რიკული ქვეყნების ფეხბურთი (7.45). მოტო-სპორტი (8.10; 11.30). პოკი (9.10; 18.45; 0.45). ვეროპის საფეხბურთო კვირა (12.35). გერ-მანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.55). ESPN. ფეხბურთი (2.30; 3.15; 4.00; 5.30; 22.00). სპორტული ცენტრი (8.00; 14.00; 20.30; 1.30). სპორტული ცეკვა (0.00). EUROSPORT. ფე-ხბურთი (10.30; 15.00). ავტოსპორტი (12.30; 14.00). ჩოგბურთი (17.00). ევლოსპორტი (1.00). ექსტრემალური სპორტი (2.00; 3.00).

6 ნოემბერს

კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება პოეტ მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებითი საღამო. ბილეთის ფასი - 3 ლარი მისამართი კოსტავას №36. დასაწყისი 18 საათზე.

საქარაკო პოიკონი

ა. კალენინი (რუსეთი)



ზამთარი 3 სკლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: 1. f4! - 2. g5X. 1...e4 2. f4X. 1...d6 2. g5X. 1...f6 2. f4X. 1...g7 2. f4X.